# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო და ლიტერატურო ჟურნალი

20—1915. მიიღება ხელმოწერა 1915 „თეატრი და ცხოვრება“-ზე 17 მაისი



† კოტე მესხი (1859—1914)

დღეს, გარდაცვალების წლის თავის შესრულების გამო, მისი ხსოვნის აღსანიშნავად სახალხო სახლში გაიმართება წარმოდგენა—აპოთეოზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი გამოცემა

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

# უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

**შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ**

მეორედ შევსებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ. ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა. წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქროვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს **ორი** (2) **მანათი** (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნის გამოსვლის ჟამს.

ხელის მოწერა მიიღება: ჟურ. **„თეატრი და ცხოვრების“** რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში). **ფოსტით:** Тифлисъ. Ред. **„Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили.**

---

სახალხო სახლი

**კვირას, 17 მაისს** ნაშუადღევის $12^1/_2$ ს.

ქართული სცენის დამსახურებულის მსახიობის

# კოტე მესხის

**გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად**

ამხანაგ-მსახიობთაგან გაიმართება

# წარმოდგენა

I. **იოსებ მაჭავარიანი** წარმოსთქვამს სიტყვას **„კ. მესხი როგორც მსახიობი და დრამატურგი“**

წარმოდგენილი იქნება კ. **მესხის:**

II. **„რუსთველი“**, მე 2-რე მოქ.

III. **„ბაგრატ მეღთხე“**, მე-3-მე მოქ. (ციხეში)

IV. **აპოთეოზი:**

აპოთეოზის დროს „ახალი კლუბის“ სიმებიანი ორკესტრი დაუკრავს **შოპენის სამგლოვიარო მარშს.**

**მონაწილეობენ როგორც ძველი ამხანაგებ-მსახიობნი, აგრეთვე ახალგაზრდანიც**

**დასაწყისი** $12^1/_2$ **ს.**

ადგილების ფასი—25 კ.-დან 2 მ. 50 კ.

რეჟისორები: **ა. წუწუნავა** და **მ. ქორელი**

გამგენი: **ა. შიხინაშვილი** და **ვ. აბაშიძე.**

---

სახალხო სახლი

**ორშაბათს, 18 მაისს**, თბილისის ქართ. დრ. დასის მსახ. ამხ-ბის მიერ წარმოდგენილი იქნება:

# გადაჭრილი მუხა

პიესა 4 მოქ. ვალ. შალიკაშვილისა

**მონაწილეობს მთელი დასი**

ადგ. ფასი 1 მ. 50 კ-დან 10 კ-დე

დასაწყისი საღ. $7^1/_2$ საათზე.

რეჟ. **მ. ქორელი**

შემდეგი უკანასკნელი წარმდგენა ხარასკევს, 22 მაისს, **„სამეგრელოს მთავარი ლევან“**

---

# „ახალი კვალი“

გამოდის ორშაბათობით

**გაზეთი ღირს:** ერთი წლით 2 მ. და 50 კ., ნახევარი წლით—1. 50 კ., ერთი თვით—20 კ.

**ცალკე ნომერი—ერთი შაური.**

რედაქციის ადრესი: Кутаисъ. Типографія Перадзе и Карнаухова для **„Ахали Квали“**

ფულის გამოსაგზავნი: Кутаисъ. Тип. Перадзе и Карнаухова, **Северіану Николаевичу Бахтадзе.**

# თეატრი და ცხოვრება

სამკვირო სალიტერატურო ჟურნალი

№20

წელიწადი მესამე

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან"-ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба" І. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის" სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41




## 17 მაისი

**კოტე მესხის ხსოვნას**

ცხოვრება—ბრძოლაა, სიცოცხლე—მოძრაობა, სილამაზე—წინსვლა!..

მკვდარია, ვინც უმოქმედობაში ჰლევს დღეთა თვისთა...

კოტე მესხი კი ასეთი არ იყო...

ყოველი კუნთი მისის სხეულის, ყოველი მიმოხვრა მისთა თვალთა, ყოველი ამოსუნთქვა მისი—ზღვეთქავი ძარღვი, სიცოცხლის წყარო იყო, მარად მჩქეფარე!..

სცენა, მწიგნობრობა, წერა, კითხვა, ცხოვრების ყოველ ახალ მოვლენაზე გამოხმაურება,—მოკლედ, სხარტულად საკუთარი ცოცხალი აზრის გამოთქმა და მითი დასურათება ამა თუ იმ მოვლენისა,—აი რა იყო კოტე...

თითქმის ორმოცი წელიწადი სასახელოდ ემსახურებოდა ქართულ სცენას ნარეკლიანი გზით და სიკვდილის კარამდე არ უღალატნია მისთვის..

ნამდვილი ინტელიგენტი მსახიობი, მუდამ ბეჯითი, შრომის მოყვარე, მწერალი, მოაზრე და იდეური მუშაკი სამშობლოს წინმსვლელობისა,—აი, ვინ იყო კოტე მესხი, რომელიც სწორედ ერთი წლის წინად მივაბარეთ სამარეს...

რით დაიმსახურა კოტე მესხმა თანამემამულეთა სიყვარული და სამშობლო სცენის მარად ხსენება?

აი, რითი:

**ალექსი ბეს. ჭიჭინაძე**—„მე და შენ ვიყავით ერთს წრეში, რომელიც შესდგა ქ. ქუთაისში 1874—1875 წლებში იქაურ ახალგაზდა ქალ-ვაჟთაგან და რომელიც მუშაობდა სამშობლო სცენისათვის და მასზე წარმოსადგენ მასალის გამრავლება-დამუშავებისთვის. ეს წრე პირველი იყო ქუთაისში, რომელსაც განზრახული ჰქონდა წართვნა და ზრდა საზოგადოებრივის გრძნობისა სცენის საშუალებით, გამაგრება და განვითარება სამშობლო ენისა, რომლისათვის დახშული იყო კარები...

რამდენსამე წელიწადს ემსახურე შენ ქუთაისის სცენას და ნიადაგი დაამზადე სამუდამო სცენისათვის."

**გ. თუმანიშვილი**—„ჩემთვის უოველთვის დაუვიწყარნი დარჩებიან ის მოღვაწენი, რომელთაც ქართულ სცენას სული ჩაუდგეს ამ ოცდაათის წლის წინათ, და მათ შორის ერთი პირველი ადგილთაგანი გიჭირავთ თქვენ, როგორც დაუღალავ მშრომელს".

**ალ. თუთაევი**—„თუ ვინმე უწოდებს ჩვენში თავის თავს საზოგადო მოღვაწეს, ეს პირველად უოვლისა ეთქმით ჩვენს მსახიობთ. ქართველი მსახიობი ერთსა და იმავე დროს გმირიცაა, რადგანაც მხოლოდ გმირს შეუძლია დასძლიოს ის აუტანელი პირობები, რომლებშიაც მას უხდება ბრძოლა. ამ გმირთა შესაფერი სარდალი იყავი შენ...

შენ უკუაგდე პირადი ინტერესები და ვარდებით მოფენილს გზას ამჯობინე ეკლნარი ხალხის სამსახურისა."

**ვ. ბალანჩივაძე**—„შენ გვასწავლიდი: თუ გინდა აქტიორი შეიქმნეთ, შრომა, მოთმინება და მეცადინეობა უნდა დაიდოთ წესადო

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ადგილობრივი სომხის საზოგადოების შეგნებული და თანამგრძნობი ნაწილი** — რომელსაც საზოგადო მოღვაწე თავისი მშობელი ერის თვით-შეგნებას და მის ზნეობრივ — გონებრივ განვითარებას ემსახურება, იგი იმავე დროს ემსახურება მთელ კაცობრიობას, ვინაიდან ამ უკანასკნელის პროგრესი მჭიდროდ აა დაკავშირებული ყველა ერების წინმსვლელობა — განვითარებასთან.

ჩვენ, სომხის ერის ის ნაწილი, რომელიც დავიბადეთ და აღვიზარდეთ ჩვენს საერთო სამშობლო საქართველოში და რომლებმაც დედა ენასავით შევითვისეთ ტკბილი ქართული ენა, ჩვენს მოძმე ქართველებთან ერთად თანაბრად ვსარგებლობდით და ვსარგებლობთ ქართული ხელოვნებით.

არა ერთხელ დამტკბარვართ ქართულ თეატრში სადაც, სხვათა შორის, თქვენი მადლიანი თამაშით გულ-აძგერებულებს გვირფქვევია ხან სიხარულის და ხან მწუხარების ცრემლები."

და მრავალი სხვა ეპიტეტით დაახასიათეს კოტე მოღვაწეობა ამ ხუთი წლის წინად ამერ-იმერეთში.

კოტე მესხისა და სხვა მის რამდენიმე თანამოღვაწის უნარს უნდა უმადლოდეთ, რომ ქართველმა თეატრმა ჩვენი წინსვლის საქმეში ღრმად გაიდგა ფესვები და ქართველი ხალხის გათვითცნობიერების ერთ მთავარ ძალად შეიქნა.

კოტე მესხმა თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობით სამართლიანად დაიმსახურა ერის მადლობა და დღეს, მისი გარდაცვალების წლის თავზე, სამშობლო სცენა მოწიწებით მუხლს მოიყრის მისი ხსოვნის წინაშე

# ძველი რვეული

წარსულსა ამბავს დროთა ბექედი
ხედავ, ატყვია როგორ უშლელად?
ძველსა რვეულსა, კვალათ აზრების,
ნაწერებს ერთობ გამოუცდელად...

ადგილ-ადგილას ბრძოლათა ჰიმნი
თითქოს ამჭკნარა, თითქოს წაშლილა!
რა კარგი იყო უცდელი ლექსი!
რა კარგი იყო პირველი დილა!

**იასამანი**

# თეატრის აშენება

ამ წინაზე „თეატრსა და ცხოვრებაში" გაკვრით იყო ნახსენები ჩემი შეხედულობა თეატრის აშენებაზე და ახლა მსურს უფრო მკაფიოდ გამოვთქვა ჩემი აზრი.

ჩვენი თეატრის აღდგენა შესაძლებელია, თუ ფულის შეგროვების წეს-რიგს დავამყარებთ ისეთს პრინციპს, რომელიც საუკეთესოდ ეთანხმება შემწირველთა ფსიხოლოგიას.

პატარა საქმის გაკეთებაც კი გასძნელებია ქართველ საზოგადოებას, ბევრჯელ ბოლომდისაც ვერ მიუხწევია და იმედიც მრავალჯერ გაცრუებია. ბევრი არავის-რა დაუხარჯავს, მაგრამ ცოტ-ცოტაობით-კი? ყველა ჩვენგანს ჩაურია მრავალჯერ ისეთ საქმეში, რომელიც შუა გზაზედვე ჩაფუშულა და მიზნისთვის ვერ მიუხწევია. ამისათვის საზოგადოებაში გამეფებულია ცხადი ან ფარული პესიმიზმი და, თუ მაინც კიდევ სწირავს რასმეს, — ისე თავ-შეკავებით და ცოტას, რომ მისი დაკარგვა დიდათ არ იწუხოს.

ჩვენი თეატრის აღდგენა დაჯდება თითქმის ნახევარ მილიონი; ასეთი მძიმე საქმე პირველად ევალება ქართველ საზოგადოებას და რანაირად უნდა იწამოს მან, რომ ეს საქმე განხორციელდება, როდესაც მთელი მისი ცხოვრება მოწამეა მრავალი გაცილებით უფრო ადვილი საქმის დაღუპვისა და ფულის უბრალოდ გადაყრისა?!.

და აკი არცა სწამს!

გადაავლეთ თვალი შემოწირულებათა განცხადებებს: „გიგზავნით ამა-და-ამ ქალაქში (ან საზოგადოებაში) შეგროვილ ექვს თუმანს..."

ცხადია, რომ ამ ექვს თუმანს ჰგზავნიან და თან ფიქრობენ: „თეატრს, შვილოსან, ვერ ააშენებთ და ამ ექვსი თუმნით თავიდან გიშორებთ, — სადაცა გსურთ, იქ გადაყარეთ!"

არც უფლება გვაქვს მოვთხოვოთ საზოგადოებას მსხვერპლი ისეთი საქმისთვის, რომლის განხორციელებაც მას არა სწამს!

მაშასადამე, პირველად ფულის საზოგადოება უნდა დავარწმუნოთ, რომ მისი ფუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მსახიობქალი **ტასო აბაშიძე**
ავადაა ნერვების მოშლით.

დით განსაზღვრულ მოკლე ხანში თეატრი აშენდება!

როგორ დავარწმუნოთ?

ყველა ჩვენგანმა იცის, რომ თუ მას ისეთივე თავ-გამოდებით არ ამოუდგა მხარში მთელი შეგნებული ქართველობა, ერთმა სულ რომ ტყავიც გაიძროს, თეატრი მაინც ვერ აშენდება, —მაშასადამე, არც საბუთი აქვს თავის გამოდებისთვის!.. ყველა შემწირველი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი შეწირულება რადაც საალალბედო შემთხვევითი მოვლენას კი არ წარმოადგენს, არამედ თუ კი შეიძლება ასე ვსთქვათ, — ორგანიულ ნაწილს მტკიცედ გამოანგარიშებულ და შემუშავებული ერთეულისა! თვითეული საზოგადოების წევრი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მასთან ერთად ყველა შეგნებული ქართველი სწირავს იმავე ნაწილს თავისი წლიური შემოსავლისას!..

ასეთი რწმენა უდრის რწმენას: განსაზღვრულ მოკლე ხანში თეატრი აშენებული იქნება!..

ასეთი რწმენა არამც-თუ სასურველი—სავალდებულოა! მეტსაც ვიტყვი: არავის არა აქვს უფლება გადასდოს თავისი წვლილი ისეთი საქმისთვის, რომელიც არ არის დამყარებული მყვიდრ ნიადაგზე! ინგლისელი ჰრანციჰის გულისთვის გროშსაც არ შესწირავს საეჭვო საქმეს! ჩვენ? არც საკმარისი განათლება, არც შეგნება და ამისათვის—მხდალნი! იქამდის გვაკლია მოქალაქეობრივი გამბედაობა, რომ ოდონდ-კი საზოგადოებრივი სახელით მონათლეთ რამე ახალი დაწყებულობა, და ჩვენც უარის თქმას ვერ მოვახერხებთ, თუნდ რომ ცხადზედ უცხადესი იყოს ამ დაწყებულობის უნიადაგობა! გვეშინიან, რომ რომელიმე ჯგუფმა რენეგატად არ მოგვნათლოს!..

ეს მოქალაქეობრივი სიმხდალე ერთი მხრით ხელიდანა გვგლეჯს თანხას წვრილ-წვრილად კარგ სახელიან, მაგრამ არა სერიოზულად დაწყებული საქმეებისთვის, და მეორე მხრით ურწმუნოებით გვბოჭავს საზოგადოდ.

თეატრის აღდგენა დიდებული და მძიმე საქმეა—აუცილებელია რწმენა!..

როგორ მოგვარდეს ტეხნიკურად ეს საქმე?

თეატრის აღმაშენებელი კომიტეტი გამოსცემს ზედ-მიწევნით ასეთს მოწოდებას: „ქართული თეატრის ასაშენებლად საჭიროა, რომ ყველა შეგნებულმა ქართველმა შესწიროს 2% თავისი წლიური შემოსავლისა, ან ერთბაშად ან ნაწილ-ნაწილ ერთი წლის განმავლობაში. ამისათვის ვსთხოვთ მსურველთ დაუყოვნებლივ შეგვატყობინონ თანხმობა! თანხმობასთან ერთად უნდა შეგვატყობინონ რას უდრის მათი წლიური შემოსავლის 2% და როდის შეუძლიანთ მისი გადახდა. საჭიროა აგრეთვე მისამართი. ანკეტის შედეგი გამოცხადებული იქნება მოკლე ხანში“.

ორიოდე თვეში საზოგადოებას ხელთ ექნება დიდი მასალა სავარაუდო შემოსავლისა და ეს მისცემს მას რწმენას!

შეიძლება სთქვან: დაპირებით ყველა დაგვპირდება და შემდეგ-კი ბევრი უკან დადგებაო!

შესაძლებელია. მხოლოდ არა მგონია, რომ ასეთ უპიროთა რიცხვი საგრძნობელი იყოს.

მაგალითისთვის პირველი ვაცხადებ: „მე, ნ. შიუკაშვილი, თანახმა ვარ წლის დამლევამდე გადავიხადო თეატრის ასაშენებლად ქ. თბილისში 2% ჩემი წლიური შემოსავლისა, რაც უდრის 40 მან. ქ. გორი“.

. . . . . . . . . . . . . . . . . .

კიდევ ასეთი აზრი გამოითქვა: ამ საშინლად აწეწილ დროს მოუხერხებელია ასეთი დიდი საქმის დაწყებაო.

ამ აზრს ვერ მივემხრობით

მართალია: საზოგადოებრივი ყურადღება

დაქსაქსულია,—ომი, შიმშიანობა, ავადმყოფობა, სიძვირე... მაგრამ ყველა ამას თან ახლავს ფულის სიმრავლე და ჯიბეში წინანდელი მანათის ნაცვლად ორი და სამი ჩხრიალებს...

მაშ, დავიწყოთ!..

ნ. შიუკაშვილი

## ცას ღრუბლები არ შორდება...

ცას ღრუბლები არ შორდება,
დედამიწას სისხლის ღვარი;
შავ თალხებით დაბურულა
მომტირალე მთა და ბარი.

მთვარეს შუქი დაჰკარგვია,
სხიოსან მზეს მხურვალება,
დღეს სინათლე აღარ უჩანს,
ვარსკვლავებსა ბრწყინვალება.

ეთერს ნისლი გადაჰკვრია,
ვით კუმეტი შავი ფერის,
მიტომაც არს, რომ ეს გული
ვეღარ ხარობს, ვეღარც მღერის...

ოხ, სად არის ქარიშხალი,
ბნელ—წყვდიადის გამფანტველი,
ან ზაფხული აღგზნებული,
ზამთრის სულის შემხუთველი.

რომე გულმა კვალიდ იგრძნოს
სიხარული, შვება, ლხენა,—
მწარე დრო-ჟამ გამოვლილმა
ვამუსიკო ტკბილად ენა! .

გ. შინატეხელი

## ჩიქორთული

(ყურმოკრული)

ერთ დარბაისელ კნეინას შვილებმა რუსის მზარეული ქალი დაუჭირეს. არაფერ,ად ეჭაშნიკა კნეინას, რადგანაც მას მზარეულ ქალისა არა ესმოდა რა და მზარეულს კიდევ კნეინასი იყვნენ ერთ გაჭირვებაში. ერთს დღეს კნ. მუჟუჟს აკეთებდა, ყოველი მასალა მოემზადებინა, ხოლო საუბედუროდ ნიორი დავიწყებოდა. კნეინამ იფიქრა, რუსული სიტყვები ერთმანეთს მიაკერ-მოაკერა, და მზარეულს უთხრა:

—„სტუპაი ბაზარ, პრინესი ტრი გოლოვა შესნოგ“. და მისცა სამი მანათი.

ელის კნეინა სამ თავ ნიორს. გავიდა კ რგა ხანი.; მზარეული არსადა სჩანს. როდის, როდის შემოვიდა ქლოშინით მზარეული ქალი, და წინსაფარიდან მაგიდაზე სამი ღორის თავი და ექვსი ფეხი დაუყარა. გაკვირვებულმა კნეინამ გაჯავრებით ჰკითხა:

—„გდე მარია შესნოგ?!“

—„ვოტ ბარინა: 1, 2, 3, 4,—და ექვსი ღორის ფეხი დაუთვალა,„—ა ეტო ბარინა 3 გოლოვი პრიკაზალი: 3 გოლოვი შესნოგ, ვოტ ი პრინესლა.“—

ჭიტა

## წამების ზღვაზე

### VII სარკე

როგორც ყოველთვის, დღესაც უაზროდ დავეხეტებოდი ბაღში, ვიგრძენი, რომ არას დროს ასე ყურადღებით არ მაკვირდებოდენ მოსეირნენი ისინიც კი განცვიფრებით მიცქეროდენ, ვინც ჩემს მისალმებაზე ყოველთვის უსიამოვნოდ იშმუშნიდა მხრებს.

ფრთა გაშალა მიციწყებულმა თავმოყვარეობამ. უსაზღვრო სიამოვნებას განვიცდიდი, თითქოს ყველას ჩემი გაცნობა სურდა და მე, ამაყი, არავის ყურადღების ღირსად არ ვრაცხდი. აღფრთოვანებული დავბრუნდი შინ, დავდექ სარკის წინ, თითქოს მსურდა ჩემს ლანდზედაც შთაბეჭდილება მომეხდინა. მაგრამ, ჰოი, საშინელებავ. ტანსაცმელი ისეთ ადგილას გამხეოდა, რომ სიტიტვლეს ვეღარ ფარავდა. აი რა ყოფილა მიზეზი, რომ ასე დაჟინებით მომცქეროდენ. თურმე უკვირდათ, ხომ არ გაგიჟებულა თავხედი? ამ გვარ ტანსაცმელით როგორ ბედავს საზოგადოებაში გამოსვლასო, შელონებული დავემხე და უხმოდ, უსიტყვოდ გამოვიტირე ჩემი ხანმოკლე ბედნიერება.

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბახტრიონი

**პოემა ვაჟა ფშაველასი**

(კრიტიკული ესკიზი)



„მოგესალმებით, ქედებო,
მომაქვს სალამი გვიანი;
ჩემსამც სამარეს ამკობენ
თქვენი დეკა და ღვიანი.
თქვენგანა გულობს ეს გული,
შიგ გრძნობა უდუღს ღვთიანი.
თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ,
ლალიან-ბარაქიანი".

**ვაჟა ფშაველა**

(პოემიდამ „ბახტრიონი")

**ვაჟა ფშაველა**

კავკასიონის მთების თითქმის შუაგულში, დრე-კლდიანს და თოვლიან-ყინულიანს ადგილზე მდებარეობს თუშ-ფშავ-ხევსურეთი, რომლის ქართველნი მკვიდრნი ცნობილნი არიან ჩვენს ისტორიაში თვისის თავგანწირულის სიყვარულით საერთოდ საქართველოსთვის. მათი მხნეობა, მათი სიმამაცე, მათი ვაჟკაცობა შეადგენენ საქართველოს ისტორიულის ცხოვრების დაუჭკნობელ გვირგვინს... ლაღი მთის შვილები ეტრფოდნენ პოლიტიკურს თავისუფლებას და მის განსამტკიცებლად მზად იყვნენ შეეწირათ თავისი სიცოცხლე.

„ცოცხალს კი უნდა ეხუროს
ვაჟკაცსა ქუდი თავზედა,
სიცოცხლეს აუგიანსა
სიკვდილი მიჯობს ხმალზედა..
როს ჩემი ბინა სხვას რჩება,
ჩემი ცოლი და შვილები,
თუ დუშმნის ხმალი არ მომკლავს,
მე თვითონ გავიგმირები!.."

აი, განწირული სულისკვეთების ის სადი მოტივები, რომელთათვისაც დღესაც თითქმის არ უღალატნია ფშავ-ხევსურეთს. .

ფშაველის შვილს პოეტს ვაჟას სამართლიანად შეგვიძლია ვუწოდოთ პირველ ხარისხოვანი მგოსანი, რომელიც პოეტურის აღმაფრენის მხრით აკაკისთან ერთს ხაფეხურზე სდგას .. ლაღი მთის შვილი ვაჟა, დაჯილდოებული პოეტური ნაზი ბუნებით, განცხოველებული მგოსნური აღმაფრენით, დაიბადა და აღიზარდა მთაგორიანს ფშაველში, მას სამართლიანად შეუძლია სთქვას თავის თავზე, რომ ის ღვიძლი შვილია მთებისა, „გაზრდილი მაღალ მთების ქარიშხალით, ელვით და ჭექით"... ვაჟა-ფშაველა თვის პოეტურს ნაწერებში წმიდა და ღრმა ქართული ენით გამოხატავს მთიელთა (თუშ-ფშავ-ხევსურთა) სოფლმხედველობას და მათს წარსულს დიდებას, მათს გარემოცემებს, საუკეთესო ზღაპარ-თქმულებებს და ამ მის მიერ გადმონაცემში ერთსა და იმავე დროს ჩაქსოვილია საერთო-საკაცობრიო მისწრაფებანი და იდეალებიც. პოეტი მიმართავს მთებს და ეუბნება:

„თქვენგანა გულობს ეს გული,
შიგ გრძნობა უდუღს ღვთიანი!"

და, აი, ამ ღვთიანი გრძნობით აღფრთოვანებული ჩვენი მგოსანი თვის გამოსახულებაში ხედავს თავის თავს მდიდრად და გაიძახის:

„მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა,
მთაში—მთა, ბარად—ბარია,
ზღვა და ხმელეთი ერთიან,
ცას ვარსკვლავები ჯარია..."

მაგრამ ამავე დროს, იგი გრძნობს, რომ შეკავშირებულია განსაზღვრულ სამშობლოსთან, რომლის კეთილდღეობისათვისაც იგი უნდა ზრუნავდეს:

„ხარს ვგევარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ;
„ღმერთო! სამშობლო მიცოცხლე!"
მძინარეც ამას ვდუდუნებ...
საწყალთ საწყლობა რომ მესმის,
იმათ მაგივრად ვწუწუნებ;
ხანდახან ჟინი ამიღებს,
სიმღერას დავაგუგუნებ .."

პოეტი საქართველოს შვილია, ქართველი ერის ძე. ამის გამო იგი სდგას უმთავრესად ქართულს ნიადაგზე და თვისს ღვთიურს ჩანგს ამღერებს საქართველოს დაჰყვარდოვანი და ხავერდოვანი ცის ქვეშე; მის სხეულში მოქმედობს ქართველური სული, რომელიც თვისი მისწრაფებით და სოფლმხედველობით შეკავშირებულია ქართველი ერის სულიერს ბუნებაში ჩამალულს, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებულს სოფლმხედველობასთან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟამ არ დასტოვა შეუმჩნეველად არც ერთი საყურადღებო ისტორიული გადმოცემა, არც ერთი ღრმა აზროვანი ზღაპარი და მოვლენა, რომელიც კი დაცული იყო მის მთაგორიანს სამშობლოში... ყოველს მათგანს გარეგნობით მშრალს შთაბერა პოეტური სული, — მის ჩონჩხს შეაბა არა თუ ხორცი, არამედ იგი განაცხოველა უკვდავი სულით და მოგვცა მრავალი მარგალიტი პოეტურ ნაწარმოებთა, რომელთ მეოხებით გამდიდრდა ქართული მწერლობა და გამომზეურდა ის კეთილნი გრძნობანი და მისწრაფებანი, რომლითაც დაჯილდოვებულია ჩვენი ერი... ერთს ასეთს მარგალიტად ითვლება მისი პოემა: „ბახტრიონი“, რომლის აღნაქვსი შეეხება იმ დროს, როდესაც ფშავ-თუშ-ხევსურთა დახმარებით სამმა გმირმა: ბიძინამ, შალვამ და ელიზბარმა მეჩვიდმეტე საუკუნის მესამოცე წლებში ამოსწყვიტეს კახეთში დაბინავებული მტრები, რომელთ შესახებ ამბობს პოემის ერთი გმირთაგანი კვირია, რომ მათ:

. . . . . „კახეთი
მისცეს ქარსა და ნიავსა..
აწიოკებენ ქალ-რძალსა,
ნამუსსა ხდიან ძალადა...
მთელი კახეთი ქცეულა
ჩიქილა მოხდილ ქალადა..
არა სჩანს ხელის შემკვევი,
მტრის ამომყრელი ჯავრისა,
კაცი არ რჩება შამყრელი
და წინ წამძღოლი ჯარისა..“

როგორც მოგვითხრობს საქართველოს ისტორია, მეჩვიდმეტე საუკუნეში ქართველთა არსებობის მზე ჩასვენებას აპირებდა...

კახეთში დასახლებულმა მტერმა გაამაგრა ციხე ბახტრიონი, რომლის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს თავის გეოგრაფიაში: „უტოს ხევის შესართავის პირის პირ, ალაზნის აღმოსავლეთის კიდესა ზედა, არს ციხე ბახტრიონი ანუ მაღრანისა ესე ყოფილ არს დიდშენი და მაგარი. (იხ. მოსე ჯანაშვილის რედაქციით დაბეჭდილი. 1904 წ. გვ. 166) პოემიდამ სჩანს, რომ ეს ციხე მართლად ძლიერ გამაგრებული ყოფილა მტრის მიერ. პოემაში ქალი ლელა ამბობს:

„ნუ გავიწუდებათ, ბახტრიონს,
ციხე სამ უდგათ მაგარი.
შიგნითაც მოწყობილი აქვთ
სანგალ-საყუჩებ-საფარი.
კარებსა მაგრა დაკეტილს
ათას მხრივ უდგა ჩაფარი!“

სწორედ თუშ-ფშავ-ხევსურები, როდესაც განიზრახეს ეშველათ მტრის მიერ დაჩაგრულ კახელებისთვის იერიშით ბახტრიონზე წავიდნენ რადგან ბახტრიონი იყო იმისი ფეხ მოსაკიდებელი ადგილი ..მასში ჰყავდა მტერს ძლიერი რაზმი .. და ესეც შეერთებულმა ჯარმა აიღო ორი პირის თავგანწირვის მეოხებით. ეს ორი პირია კვირია და ლელა... კვირიას ჩაგონებით ლელა გაპარვით მიდის ბახტრიონში, რომ თავგაწირვით კვირიასთან ერთად რაიმე არგოს თვის მოძმეთა. აი რას ეუბნება კვირია დად ნაფიცს ლელას:

„ჩვენ ორნი წავალთ ერთადა,
მივმართოთ მტრისა ბინასა;
მივესალმები ყარაულს
სხვებზე თავსმდგომს და წინასა.
თან ვეტყვი: ყეენს მოვართვი
ფეშქაშად ტურფა ქალიო;
გთხოვთ მანუგეშოთ მენამცა,
კაცი ვარ შესაწყალიო.
კარს გაგვიღებენ ციხისა,
მარჯვეთ მოვხვდებით შიგნითა..
ცისკრის ხანს მოვა ლაშქარი
ჩვენც იქ დავხვდებით მარჯვედა;
ვეცდები კარი გავუღო,
თუნდ დამკლან ციხის კარზედა“.

მსგავსი თავგანწირულებით შეხვდება კვირიას წინადადებას ლელა, რომელიც ეუბნება მას:

„მზადა ვარ, შენი ჭირიმე
როგორც სჯობს, იცი უკედა...
ეგრ იყოს, როგორც შენ ამბობ,
უარს არ ვიტყვი მაგაზე!“

კვირიამ და ლელამ შესწირეს თავი მსხვერპლად ტკბილს სამშობლოს. ქართველთ გამარჯვება ხვდათ.

კვლავ ამოაშუქა საქართველოში თავისუფლების ცხოველმყოფელმა მზემ, რომელმაც თვისი უკვდავი შარავანდედით სასიცოცხლოდ გამოიწვია დამონებული კახეთი. ეს ის დრო იყო, როგორც ამბობს ვაჟა:—

„როდესაც მთასა ლოცავდა ბერია, —
როს სალოცავად მიაჩნდათ
მთიელი ხალხის გვარია!..

**ილ. ფერაძე**

(შემდეგი იქნება)



**დეპუტატი აკაკი ჩხენკელი**

გასულ კვირას პეტროგრადიდან თბილისს დაბრუნდა, ხოლო 9 მაისს ქუთაისს გაემგზავრა.

# ტანჯვა

ტანჯვა მიმღერდა მწარე ნანას ჟამს დაბადების,
ტანჯვა პირველად შემეგება გზაზე ცხოვრების.
ტანჯვა მეუფლა, დამილოცა ეკლისა ქნარი,
ტანჯვა ჩემი სიყვარულის ემბლემა არი.
ტანჯვა მეძმო, მესატრფოვა, მეალერსება,
ტანჯვა სამშობლოდ გარდამექცა,—მესალბუნება.
ტანჯვა ჩირაღდნად მიმიძღვის, ჰფანტავს სიბნელეს,
ტანჯვა მაყვარებს სიცოცხლეს, ტანჯვა სინათლეს;
ტანჯვა ჩემთვის არის აწმყო, - იყო წარსულიც
ტანჯვა მექნება ლხინ ცეკვა, და მომავალიც;
ტანჯვა მიგლოვს, დამიტირებს თავისსა მკვდარსა,
ტანჯვა, ვგონებ, მიდარაჯებს სამარის კარსა!

**ს. ერთაწმინდელი**

# დავიწყებული დღესასწაული

**თბ. ქართველ ქალთა საზოგადების მიმართ**

თუ ივერიის ეკლესიას ამშვენებს მის ძეთა მოწამეობის გვირგვინი, მისნი ასულნიც არ ჩამორჩო მიან თავიანთ ძმებს და კეთილმსახურის მოღვაწეობით, თუ თავის განწირვით უდიდებიათ ჯვარცმული მაცხოვარი, ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მოსარჩლე.

საქართველოს ასულნი კრებულადაც კი წამებულან დაცინულ-აგდებულნი. ასეთი ამბავი მაგალითად, მოჰხდა მუღალთა შემოსევის დროს. მტრებმა ქართველ მონოზნებს ხელთ მისცეს დაირ-ფანდურები, დაჰკიდეს ეჟვნები და აცუნდრუკეს, ხოლო ბოლოს ვინც ჯვარცმული არა ჰგმო, სხვა ხალხთან ერთად, რომელსაც თავი შეეფარებინა ქვაბთახევის ტაძარში, დასწვეს ტაძრის შიგნით და გარეთ აჰგზნებულის ცეცხლითა.

მაგრამ წამებულ ქართველ ქალთა შორის პირველი ადგილი უჭირავს წმიდა ქეთევანს, რომელიც იყო კახთა დედოფალი და უწყალო ტანჯვით წამებულ იქმნა სპარსეთში შაჰაბაზის მიერ 1624 წ. მის ხსენებას ივერიის ეკლესია დღესასწაულობს ენკენისთვის 13-სა.

საქართველოს მშვენება, მისი დიდება, რომელიც დაუცხრომელის სხიოსნობით ჰბრწყინავს, მისი სამი ასულია: ნინო, თამარ და ქეთევან. პირველია განხორციელება მოციქულებრივი მოღვაწეობის და ახალი მოძღვრების ქადაგებისა, მეორე მაღალი სათნოების და დიდებისა, ხოლო მესამე შეურყეველი წამების და მისთვის თავგანწირვისა.

თუ ნინოს და თამარის დღესასწაულები მოგვაგონებს ჩვენი მამულის ბედნიერ დღეს და დიდებასა, ქეთევანის დღესასწაული მის უბედურებას და დამცირებას გვიხატავს. ხალხის ერთობა, მისი სიმტკიცე მაშინ არის ნამდვილი, როცა იგი დღესასწაულობს მამულის არა მარტო გამარჯვებას, არამედ მის დამარცხებასაც, როცა ხალხს მამულის ლხინთან ერთად ჭირიც ახსოვს.

როგორც ქართველი დედები სცდილობენ ნინოს და თამარის ხსენების ხალხში განმტკიცებას, მათ პატივისცემას დღესასწაულებრივის გამოჩვენებით, ისევე უნდა მოიგონონ მათთვის წამებული ქეთევან დედოფალიც და მისი ხსენების დღეც არა ნაკლების გამოჩვენებით იდღესასწაულონ.

ქართველობას, ქართველ დედებს ნინო-თამარ-ქეთევანი ბევრ რასმეს ეუბნება. მისი გაგება შეიძლება მათი დროის შესწავლით, გამოქვეყნებით, მათი ხსენების დღეს დიდის სატფურების გადახდით, როგორც საეკლესიო ისე სამოქალაქო წესითა.

ვინ უნდა ითაოს ეს დიდი საქმე, თუ არ ქართველმა ქალებმა?

ენკენისთვის ცამეტიც შორს არ არის!

**ივერი**

# კოტე მესხი როგორც მჭევრმეტყველი

(მოგონებანი)



ნერონი

მსახიობი კ. მესხი მეტად ენა-მახვილი და მჭევრმეტყველური ნიჭით იყო დაჯილდოვებული მისი სიტყვა, საზოგადოებრივ ზეიმებსა თუ ნადიმებზე წარმოთქმული, ყოველთვის ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებდა მსმენელებზე...

ამ რამდენიმე წლის წინად კოტე ჩვენი თანამემამულის იუჟინი-სუმბათაშვილის იუბილეზე იყო გაგზავნილი დასასწრებლად. მის სცენაზე გამოსვლას აი როგორ აგვიწერს მ-სკოვის ერთ-ერთი გაზეთი:

— „სხვა და სხვა მომლოცველთა შორის, უეცრად გამოჩნდა სცენაზე ქართულ ლამაზ კოსტიუმში სხარტად გამოწყობილი ქართველი მსახიობი და გაისმა მისი სიტყვა ძლიერი, აღფრთოვანებული აქცენტით. სიტყვის დაწყებისთანავე თითქოს სიცილი ერეოდათ მსმენელებს, მაგრამ აი მეორე ფრაზა არ დაეთავებია, როდესაც მას აღფრთოვანებულმა საზოგადოებამ რამდენჯერმე შეაწყვეტია სიტყვა მხურვალე ტაშის ცემით. .



პაატა

ბოლოს მესხმა დაათავა შემდეგი სიტყვებით: — „შენ განშორდი სამშობლო საქართველოს, შენ, როგორც მსახიობმა, უღალატე — სამშობლო სცენას, როგორც მწერალმა — სამშობლო ენას, მაგრამ ჩვენ არ გკიცხავთ ამისთვის, რადგან შენ ღალატი „ღალატი“-თვე გამოიყიდეო“!..

ბოლოს გაზეთი დასძენს, რომ სიტყვა ქართველი მსახიობის იყო ერთ-ერთი საუკეთესო სიტყვათაგანიო, რომელიც კი წარმოითქვა იუბილიარის პატივსაცემლად გამართულ წარმოდგენაზეო...

აგრეთვე აღსანიშნავია მეორე სიტყვა კ. მესხისა, როგორც მისი მაღალი მჭევრმეტყველური ნიჭის დამახასიათებელი. ეს სიტყვა იმავე სუმბათაშვილისადმია მიმართული მოვიყვანთ ამ სიტყვას შემოკლებით:

— „არა შენი მოღვაწეობის და სცენის უანგარო შრომის აღსანიშნავად გამომგზავნა მე შენმა შორეულმა სამშობლო საქართველომ .. ამას ჩემზე უკეთ შესძლებს შენი ნიჭისა და მოღვაწეობის პირადი მოწამე მოსკოვის საზოგადოება. მე კავკასიონის მაღალი მთის მწვერვალების, შენი დების და ძმების, პატარა საქართველოს პატარა მსახიობთაგან მოგიტანე გულწრფელი სალამი შენ დიდ მსახიობს პატარა თეატრისას აღფრთოვანებულ სალამს გიშლი ფეხთა წინ!..

სამშობლო შენი ამაყობს მით, რომ შენი ნიჭი, სულიერი ავლადიდება მიუძღვენ რუსეთის გულს — მოსკოვს, როგორც, ღირსეული ძღვენი რუსეთის აზროვნებისა, შემოქმედებისა, და ხელოვნების საგანძურში შეტანილი, ჩვენ, შენი უმცროსი ძმები მსახიობები ბედნიერები ვართ მით, რომ შენი ღვთიური ნიჭის საუკეთესო ქმნილება მიუძღვენი შენ სამშობლო-საქართველოს!.. მაშ ნურავინ ნუ იტ-



პეტრუჩიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის, რომ შენ უღალატე სამშობლო სცენას, შენ ღალატი „ღალატი“-თვე გამოისყიდეო.“

არა ნაკლებ საყურადღებოა მესამე სიტყვა კ. მესხისა, რომელიც განსვენებულმა მარიამ ნიკოლოზის ასულს ერმოლოვისას უთხრა მოსკოვში.

— „მოგმართავ შენ არა იმიტომ, რომ ვიბაასო შენზე, ღვთისგან ბოძებულ ჩემმეგობარზე! არა! შენთან დავიდარაბა გავათავე (ხალხში სიცილია და ტაში'. მაგრამ შენ ხარ მიზეზი ყოველთა მიზეზთა და ამიტომ მოვითხოვ შენს ყურადღებას მე არ ამისრულებია შენი ბრძანება თუმცა, ღმერთია მოწამე, ამნაირ ბრძანებას მე არ ვსაჭიროებდი. ამას შენც მიხვდები!.. (სიცილია) სამშობლოჯან წამოსვლისას მე მიბრძნეს, რომ როდესაც დაგინახავდი თქვენ— დიდებულ მარიამ ნიკოლოზის ასულს ერმოლოვისას (აქ საზოგადოება ადგა და ოვაცია გაუმართა, როგორც ერმოლოვისას, ისე კ. მესხს), მთელი საქართველოს სახელით თავი დამეხარნა მოწიწებით(შეუწყვეტელი ტაში). შეუდარებელო მ. ნ. გუშინ, როდესაც მე დავინახე თქვენი საკვირველი თვალები ცრემლებით სავსე—ჩემი გულის სიმები ათრთოლდენ!. (ძლიერი ტაში) მე მაშინათვე მივხვდი, თუ როგორ უნდა იტანჯებოდეთ თქვენ ამდენი სიყვარულის გრძნობით ავსე (ბრავო, ბრავო!) და მომაგონდა, რომ თქვენ ერთად ერთი რუსი ქალი ხართ, რომელიც იტანჯებოდით, როგორც **ქართველი** დედა!.. (ბრავო!) აი, ამ ტანჯვისთვის, რომელიც მოგანიჭათ თქვენ ალ. ივანეს ძემ (საერთო სიცილი და ტაში), მოწიწებით სალამს გიძღვნით იცოცხლეთ დიდხანს და უფრო ძლიერი ცეცხლით აღანთეთის გულნი, რომელნიც არა ერთხელ აღგიგზნიათ ზენაარი ნიჭით.“



**ნაპოლეონი**

ამ სიტყვებით აღფრთოვანებული ერმოლოვის ქალი მივიდა და მხურვალე ამბორი უძღვნა ნიჭიერ მჭევრმეტყველს!.. ამის შემდეგ



**ნაპოლეონი**

იუბილიარმა სუმბათაშვილმა მიმართა კოტეს:

—„ძვირფასო ძმაო და მეგობარო კოტე! გადაეცი ჩემს ძვირფასს საქართველოს, რომ შენი გუშინდელი სიტყვებისთვის მე ვკოცნი ჩემ სამშობლო მიწას და, იმ სიტყვებისთვის კი, რომლითაც შენ მიჰმართე ჩემს ძვირფას დას, მზადა ვარ მოვრწყო ეს მიწა ჩემი საკუთარი სისხლით“-ო!..

ქართველი საზოგადოება იცნობს კ. მესხის მიერ სადილ-ნადიმებზე ანუ საზეიმო დღესასწაულებზე წარმოთქმულ სხარტულა, მახვილ, მაღალ-შინარსიან სიტყვებს. მისი სიტყვა თითქმის მუდამ ზმათა მსგავსი იყო, მხატვრული, ორ აზროვნული. ასეთი იყო მაგ.— ბალმონტის სადღეგრძელო, ი. გედევანიშვილის ხოტბა და სხ.

ამ ზემო მოყვანილ სიტყვებიდან ნათლად სჩანს, თუ რა ნიჭიერი, მჭევრმეტყველი და გულ-შემატკივარი ადამიანი დაჰკარგა სამშობლომ კ. მესხის უდროო გარდაცვალებით!..

დიდება და ქება შენდა სამშობლოს ძვირფასო შვილო, დაუვიწყარო კოტე, რომ ირნათლად მოიხადე ვალი შენი მრავალტანჯული ერის წინაშე!..

**ვ. გორგაძე**



**მაჭარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწირი-სარდალი

(გაგრძელება. იხ. „თ და ც.“ № 19)

## მოქმედება მეორე

### იგივე ადგილი

**გივი** (ღრმად ჩაფიქრებული, კოკით ხელში მოდის წყაროსთან და დაიხრება, რომ წყალი ამოიღოს, მაგრამ უეცრად კოკა ქვაზე მოუხვდება და დაიმსხვრევა, შეშფოთებით) გატყდა!..
(ასწევს ხელში შერჩენილ კოკის ნატეხს და გრძნობით) ნეტა შენ, ჩემო მუდმივო
თანამშრომელო, მორჩი წვალებას:
აწ ხელს ვერავინ ველარ წამოგკრავს
და ვერ შეგირყევს თავისუფლებას!..
დიდის სამყაროს მცირე ნაწილო,
კვლავ შეუერთდი მშობელ ბუნებას
და საუკუნოდ მ-ეც სანატრელ,
ალუშფოთებელ ტკბილ მოსვენებას, —
განთავისუფლდი, გაარაფერდი!..
(გადააგდებს ნატეხს)
ოჰ, ღმერთო, ნეტა, როდის იქნება,
რომ მეც მეღირსოს, ამნაირადვე
გაარაფრება და მოსვენება;
რომ, მოკლებული თავისუფლებას, —
რაღაც უბრალო ნივთი საწყალი
არ ვმცონარებდე ამ ქვეყანაზე,
აღარც მკვდარი და აღარც ცოცხალი?..
(ჩაფიქრდება) ნეტა ვიცოდე მაინც, ვინ იყო
ის მშვენიერი, ტურფა ასული:
სული მაცდური ჯოჯოხეთისა,
თუ ანგელოსი, ცით ჩამოსული?..
როგ~რ ატკბობდა თვალს მისი სახე,
სახე უმანკო და მადლიანი.
ყურს მისი ნაზი და ნარნარი ხმა
და გონებასა მისი ჰკვიანი
მსჯელობა,— არა ცივი და მშრალი,
სულის და გულის აღმფრთოვანებ ლი,
გრძნობის მომგვრელი, დამაფიქრველი
და კაცის ცამდე ამმაღლებელი!..
არ ჰგავდა დედას, მარად მოწყენილს,
სახემოღრუბლულს, შუბლ-შექმუხვნილსა
და წარბებ შეკრულს, მრისხანე კერპებს,
ვერ ათქმევინებ რომ სიტყვას ტკბილსა!
ოცი წლისა ვარ და გუშინდლამდის
ლმობიერი და ალერსიანი
ხმა არ მსმენია; გუშინ პირველად
ვნახე ცოცხალი ადამიანი
და მეც გავცოცხ-დი, კაცადა გავხდი;
აქამდის მხოლოდ ლანდი, აჩრდილი, —
როგორც ბერები და დედა ჩემი,
რაღაც უსულო მანქანად ქმნილი!..
ჩაფიქრდება) „მკვდარია უქმი სარწმუნოება;
ღმერთს ღვაწლი უნდა, არა სიტყვაო, —
როცა ქვეყანას მტერი აოხრებს,
რად მინდა მარტო შენი ლოცვაო?“
ჭეშმარიტია! რა აქვთ საერთო
ქვეყნისთვის ჯვარცმულ ქრისტეს
მოძღვრებას,
კეთილ საქმეთა მარადის მთხოვნელს,
და განდგომილსა ჩვენსა ცხოვრებას?..
მის მაგიერ, რომ ტანჯულთ უშველოთ
და შევიწყალოთ გაჭირვებულნი,
ჩვენ სულ ვლოცულობთ, მხოლოდ
ვლოცულობთ,
მონასტრის კედლებს შეფარებულნი!..
თვით მაცხოვარი განა არ იყო,
რომ ბევრი ლოცვა ჩვენ აგვიკრძალა
და ნაცვლად მრავალმეტყველებისა
მოკლე „მამაო ჩვენო“ გვასწავლა?..
(ჩაფიქრდება. შემოდის ნინო; დაინახავს გივის და, გახარებული, უახლოვდება)

**ნინო** დილა მშვიდობის, გივი!..

**გივი** (ასწევს თავს და, თან გახარებული, თან გაკვირვებული, უყურებს) გივიო?!.

**ნინო** ჰო!.. განა გივის არ გეძახიან?..

**გივი** (ნაღვლით)
მეძახდნენ წინად, დიდი ხნის წინად;
ახლა კი სულ სხვა სახელი მქვიან!..
გივი ბავშვობის დროს მერქვა მხოლოდ
და, მონასტერში რომ მომიყვანეს,
ვით ბერად აღთქმულს, როგორც წესია,
იმ წამს სახელიც გამომიცვალეს!
დღეს გიორგი ვარ!.. შენ სიდან იცი,
რომ ბავშვობის დროს გივი ვიყავი?..

**ნინო** ვიცი, ხომ ხედავ?.. ბევრი სხვაც ვიცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემო კეთილო, შენი ამბავი,
რაც შენთვის თურმე საიდუმლოა
და, აი, კიდეც მისთვის მოვედი,
რომ გითხრა ყველა და დაგაჯერო.
ახლავე შენი შესცვალო ბედი:
უარჰყო მწირის ეგ სამოსელი,
გახდე ღირსეულ მამულიშვილად,
რაც, ვით დიდებულ მამის მემკვიდრეს,
თვითონ განგებამ გარგუნა წილად!..
აბა, შენვე სთქვი, განა ვერა გრძნობ,
რომ არ ხარ ბერად დაბადებული;
რომ შენ ვაჟკაცურ ჭაბუკ ძარღვებში
გმირთა სისხლი სჩქეფს ალქაფებული,
და შენი საქმე ნამეტურ ახლა,
როცა სამშობლოს გაათერებული
მტერი დაესხა, ლოცვა კი არა,
ბრძოლაა, ბრძოლა თავდადებული?..

(გივი საშინლად იტანჯება. ნინო მიუახლოვდება და კიდევ უნდა რაღაც უთხრას, მაგრამ ამ დროს საჩქაროდ შემოიჭრება მანანა; უკან მსახური მოსდევს).

**ნინო** (შეშინებული მანანას) რა ამბავია?

**მანანა** (აჩქარებით) ეს არის, შალვა
მოუყვანიათ, მძიმედ დაჭრილი..

**ნინო** (თავში ხელებს შემოიკრავს და საშინელის ტანჯვით) ღმერთო!.. (მანანას)
წავიდეთ!.. (გივის) მშვიდობით გივი!..

(მიდის ჩქარი ნაბიჯით. მანანა და მსახურნი თან გაჰყვებიან)

**გივი** (გააყოლებს თვალებს ნინოს და ტანჯვით)
ოჰ, ამ სიცოცხლეს არ სჯობს სიკვდილი?

(ჩაფიქრდება. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის კოჭლი მოხუცი; შეიარაღებულია და ხელშიც ჯოხის მაგივრად ხმალი უჭირავს)

**მოხუცი** (მოდის წყაროსთან და გივის)
გამარჯვება შენ!

**გივი** (გამოერკვევა ფიქრებისაგან)
შენც გაგიმარჯოს!

**მოხუცი** რადა ხარ ეგრე დაღონებული?

**გივი** ეჰ, ნუღარ მკითხავ!..

**მოხუცი** შენი ნებაა!..
თუმც როგორც მამა მოხუცებული,
ამას კი გეტყვი: შენებრ ჭაბუკი
არ უნდა იდგეს დაფიქრებული,
მაშინ, როდესაც ვით მეომარი,
როდესაც მტერი დაგვესხა თავზე,
სამშობლოსათვის ის საჭიროა..
ერთი მითხარი რა ფიქრის დროა?..
შენ კი არა, მეც, საპყარ მოხუცსა
არ მომითმინა გულმა შინ ვიჯდე,
როცა ომია და წამოვედი,
რომ ბრძოლის ველზე კიდევ მივიდე!.

**გივი** როგორ, ნუთუ შენც უნდა იბრძოლო?!.

**მოხუცი** რიტომ? ფეხი მაქვს მხოლოდ
წამხდარი
წინად მიღებულ ჭრილობისაგან,
მკლავი კი ისევ ისე მაგარი
და შევძლებ ბრძოლას! ესეც არ იყოს,
ვნახავ მაინცა, ჩემი შვილები
როგორ იბრძვიან და ვაჟკაცობენ,
ჩემგან გაზრდილნი და გაწრთვნილები!..

**გივი** ომში რამდენი შვილი გყავს?

**მოხუცი** ორი;
ორიც ემსხვერპლა მამულსა წინად.

**გივი** ნეტავი იმათ!..

**მოხუცი** ცოცხლებს თუ მკვდრებსა?

**გივი** ყველას, რომ, შენებრ, მამა ხვდათ
წილად.

**მოხუცი** შენ არ გყავს მამა?

**გივი** არა, არა მყავს.

**მოხუცი** (შეხედავს თანაგრძნობით; შემდეგ წყალს დალევს და აღტაცებით)
ვიშ, რა წყალია ეს დალოცვილი!..
(გივის) მშვიდობით! კიდევ გეტყვი: ომის დროს
იქ უნდა იყოს შენებრ ყმაწვილი!.. (მიდის)

[illegible]

(გაგრძელება იქნება)

# კომპ. კ. ფოცხვერაშვილი

კომპოზიტორის ფუგაზე რომ ვმსჯელობდით, მაშინ დავპირდით მკითხველთ მის სიმფონიურ ნაწარმოების გარჩევას.

ვალად ვრაცხთ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ჩვენი მუსიკის მეთვალყურე, საზოგადოთ, ძალიან ცუდ პირობებშია ჩამდგარი მით, რომ არც ერთი ჩვენის კომპოზიტორის დიდი ნაწარმოები არ არის დაბეჭდილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიტურის ხელში ჩაგდება ყოვლად შეუძლებელია და მეთვალყურე უნდა დაენდოს მარტო თავის სმენას და შთაბეჭდილებას. ამ შემთხვევაში კი ყოვლად შესაძლებელია მეთვალყურეს სმენამაც უმტყუნოს, მახსოვრობამაც და კომპოზიტორზე შემცდარი დასკვნა გამოიყვანოს. ამიტომ ჯერჯერობით, ცოდვის თავიდან ასაცდენად, ვიდრე პარტიტურა საზოგადოების კუთვნილებად გახდებოდეს, ჩვენ ბ. ფოცხვერაშვილის სიმფონიურ ნაწარმოებზე საზოგადო შთაბეჭდილებას გამოვსთქვამთ.

როდესაც შემთხვევა მოგვეცა კომპოზიტორის მუსიკალური სურათი „კერპთა დამხობა“ და სიმფონიური პოემა „თქმულება ამირანზე“ მოგვესმინა, ჩვენ სავსებით განვიზიარეთ ის აღფრთოვანება, რომელსაც განიცდიდენ ქართველი მსმენელნი სხვა და სხვა ქალაქებში. ეს აღფრთოვანება გამოწვეული იყო იმ ქართულ და ტიპიურ აღმოსავლეთურ მელოდიებით, რომელნიც კომპოზიტორს ხელოვნურად აქვს შეტანილი თავის ნაწარმოებში და რომელნიც მსმენელს გულის სიღრმეში სწვდებიან.

მაგრამ ჩვენ ამითი არ შეგვიძლიან დავკმაყოფილდეთ. სიმფონიურ და საოპერო ნაწარმოებიდამ ჩვენ უფრო სხვას მოველით, ვიდრე უბრალო მელოდიის ჰარმონიზაციას, რადგანაც ამ პატარა საქმეს უბრალო დილეტანტიც კარგად შეასრულებს. სიმფონიურმა ნაწარმოებმა უნდა მოახდინოს მსმენელზე შთაბეჭდილება თავისი მუსიკალური ფორმით (ტეხნიკის მხრით) და თავისი იდეით. ეს ორი მხარე სიმფონიურ ნაწარმოებისა — სული და ხორცი — ერთად უნდა იყოს შეხმატკბილებული, ურომლისოდაც მუსიკა ვერ იმუსიკებს.

ამ მხრით რომ შევხედოთ ბ. ფოცხვერაშვილის კომპოზიციებს „თქმულება ამირანზე“-ს და „კერპთა დამხობა“-ს, დავინახავთ შემდეგს: თავისი შინაარსით და იდეით ორივე სრულია. ბრძოლა კეთილისა და ბოროტისა (ამირანი), აგრედვე ბრძოლა კერპობისა ქრისტიანობასთან და უკანასკნელის გამარჯვება მათში ნათლად გამოსჭვრეტს; მაგრამ რამდენად ეს ნათელი იდეა, სული პიესისა კომპოზიტორს ხორცით აქვს შეხმული და რამდენად სრულ მუსიკალურ ფორმაში აქვს ჩამოყალიბებული, ეს სულ სხვაა. აქ კომპოზიტორი ცოტათი მოიკოჭლებს. ამ მხრივ ორივე ნაწარმოები სუსტ შთაბეჭდილებას სტოვებს მსმენელზე.

სიმფონიური პოემა „თქმულება ამირანზე“ შესდგება რამოდენიმე ნაწილისაგან და თითოეული ნაწილი აკინძულია რომელიმე ქართულ მელოდიაზე; მაგრამ ამ აკინძულს მელოდიას არც უდა აქვს, არც ვარყი და არც რაიმე სხვა დამამშვენებელი მასალა. მუსიკა არის ძალიან მსუბუქი, აკლია თემატიური დამუშავება, „სიმსუქნე“ და აკორდების მრავალფეროვნება.

საპროგრამო მუსიკის წარმომადგენელნი სხვებიც არიან: ბერლიოზი, ლისტი, ჩაიკოვსკი და ბევრნი სხვანი, მაგრამ რომ შევადაროთ იმათი სიმფონიური პოემები ჩვენის კომპოზიტორისას, დიდს განსხვავებას დავინახამთ. ბ. ფოცხვერაშვილი მათ ძალიან შორს ჩამორჩება, მიუხედავად იმისა, რომ ლისტი და ბერლიოზი მაშინ იღვწოდნენ, როდესაც ორკესტრის ღმერთი რ. ვაგნერი ახლად გამოდიოდა ასპარეზზე და რომელთათვისაც ვაგნერისა, რიმსკი-კორსაკოვისა, მალერისა და რ. ტრაუსის ტეხნიკა მიუწდომელი იყო. ბ. ფოცხვერაშვილს კი, როგორც ახალი სკოლის მოწაფეს, ყველა ეს ხელთა აქვს.

ასეთსავე მდარე შთაბეჭდილებას სტოვებს მისი მუსიკალური სურათი „კერპთა დამხობა“. იქ, სადაც კომპოზიტორი მელოდისტია, ის ღმერთია, იქ თავისი ხელოვნურად შეზავებულ მელოდიებით თვით როსსინისა და ვერდის გვაგონებს, მაგრამ იქ, სადაც ორკესტრის სიმძლავრე და ტეხნიკური მხარე უნდა გვაგრძნობინოს, ის თვით როსსინზედაც და ვერდიზედაც სუსტია.

თუ მეხსიერება არ გვატყუებს, „კერპთა დამხობაში“ ორკესტრი თავიდამ ბოლომდის ერთ ლეით-მოტივს აჟღერებს, რაიც არამც თუ რაიმე შთაბეჭდილებას სტოვებს მსმენელზედ, არამედ აღელვებს კიდეც. ეს ლეით-მოტივების მანერა ვერ უპატიებიათ თვით დიდ რ. ვაგნერისათვის და აბა ახალ კომპოზიტორს როგორ დაინდობენ.

„კერპთა დამხობა“-ში ფინალი (ქარიშხალი) ისე არის დაწერილი ორკესტრისათვის, რომ მსმენელი განცვიფრებით ეკითხება თავის თავს — სად, როდის იყო ქარიშხალი? არც ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი ეფექტი არა აქვს კომპოზიტორს შეტანილი, რომლითაც შეიძლებოდეს ორკესტრმა შექმნას ქარიშხალის ილიუზია.

შორს რომ არ წავიდეთ და უცხო კომპოზიტორებს თავი დავანებოთ, ჩვენ შეგვიძლიან სიმფონისტს ბ. ფოცხვერაშვილს შევადაროთ მეორე ჩვენი სიმფონისტი ბ. არაყიშვილი, რომელსაც სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩვენს მუსიკალურ ლიტერატურაში და რომელიც თავისი მუსიკალური კომპოზიციებით ბევრს გამოჩენილს უცხო მუსიკოსს ამოუდგება გვერდში, ბევრს დაჰკრავს კიდეც; მაგრამ ჩვენ იმას ვერ ვიცნობთ, ჩვენი მუსიკოსები (ცოტას გამოკლებით) მას შურის თვალით უყურებენ, საზოგადოებას კიდევ ვერ აუწონ-დაუწონია, რის წყალობითაც ბ. არაყიშვილი, იმის მაგივრად, რომ თბილისში იყოს და აქ მკიდეს სამკალს, იძულებულია მოსკოვში ჰკლავდეს თავის ძალას მაურიან გაკვეთილებზე, და როდესაც იგი იქ ჩაკვდება უნიადაგო შრომით მოქანცული, ჩვენ მაშინ დავიკრავთ ცხვირში და პატივსა ვცემთ დიადის დამარხვით, ვინაიდან ქართველ ერისათვის თურმე მიცვალებული უფრო ძვირი ღირებულა ვიდრე ცოცხალი.

ვიმეორებთ, რომ ბ-მა ფოცხვერაშვილმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ორკესტრს, ურომლისოდაც მისი მუსიკა დაემსგავსება ჩონჩხს, მისი მუსიკალური იდეა დაემსგავსება ლამაზ ქალს ძონძ-მანძებში გამოკრულს და არა ლაზათად მოკაზმულს.

**გ. საყვარელიძე**

# გამხდარი ვარ?!.

(დასასრული. იხ „თ. და ც." № 18 და 19)

## III

ისეთი ალიაქოთი, ისეთი აურ-ზაური იყო ამდგარი მთელ ბაზარში, ისეთი ჟრიამული გაისმოდა ირგვლივ, რომ ძაღლი პატრონს ველარ სცნობდა. მოვაჭრენი გარედ გამოლაგებულიყვნენ და ყველას რაღაც არა ჩვეულებრივი ალტაცება — სიმხიარულე ეტყობოდა. ჩასუქებულ-დამრგვალებული მიკიტნებიც-კი, რომელთაც, ქვეყანა რომ იქცეოდეს, გარედ ვერ გამოახედებთ, ქუჩაში გამომზეურებულიყვნენ და ისრე გულამოსკვნით ხითხითებდნენ, ისეთს აუწერელს მხიარულებას შაეპყრო მთელი მათი არსება, გეგონებოდათ ამ ქვეყნიურს მთელს სიმხიარულეს მხოლოდ მათთვის მოუცლიაო და და გადამეტებულის სიცილისაგან ხომ ოფლში იწურებოდნენ.

თვითონ ბაზარიც იშვიათ სანახაობას წარმოადგენდა: ადამიანები, ოთხფეხი ცხოველები, ნავავი და მტვერი, ყველა დომხალსავით ერთი-ერთმანეთში არეულიყო და საერთო მხიარულებაში ყველანი თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ.

ამ ალიაქოთს ზედ ერთვოდა დაუსრულებელი სტვენა და ქუჩის მაწანწალათა გულშემზარავი ღრიანცელი.

უცბად ერთ სარდაფთან ხალხი შეჯგუფდა და წამს ისევე გაიფანტა. ღვინის სარდაფიდან ვიღაც გასისხლიანებული, მაღალი და გამხდარი კაცი ამოვარდა. დასისხლიანებულს თვალებს საშინლად აბრიალებდა და ახალს მსხვერპლს ეძებდა. ბრბო-კი შორი ახლოს გაჩერებულიყო და ახალს მოქმედებას მოელოდა.

— მოშორდით!.. აღარ დაიშლებით? რა, მხეცი ხომ არ არის?.. თქვენ ისეთი ხალხი ხართ, ჰკვიანსაც შეჰშლით. დაიშალენით!. — უყვიროდა თავ-წასულს ბრბოს ბაზრის დარაჯი. მაგრამ ხალხი მაინც ჯიუტობდა და ადგილიდან არ იძროდა.

— მე ვარ გამხდარი, მე?.. აბა მობრძანდით ვინც კაი ბიჭები ხართ და ვსინჯოთ... მოდით რაღა! . არ გესმით?!. — შეჰღრიალა დასისხლიანებულმა კაცმა და თავმოყრილ ხალხისაკენ გაიწია

— უუუ .. არიქათ!.. — იგრიალა დაფეთებულმა ბრბომ და ჭირეხსავით აქეთ-იქით გაიფანტა.

— არიქათ!.. დუქნებში შეიმალეთ. დუქნებში, — დაიყვირა ვიღაცამ და გათამამებულმა ვაჭრებმაც იკადრეს დუქნებში შეძრომა.

— ტრაახ... ტრაახ!.. — ჩაიმტვრა ერთი დარაბა და მუშტებ-მოღერებული დასისხლიანებული კაცი ერთს სამიკიტნოში შეიჭრა.

— ჩხრრრ...— აჩხრიალა ქურქლებმა და ერთი უბედურების ალიაქოთი ასტყდა შიგ.

— პოლიცია!.. მამასახლისი!..— ყვიროდა ხმა წასული ვიღაცა შიგნით და ცოტა ხანს უკან კიდევ ბარე ს:მიოდ მიბეგვილი კაცი გამოვარდა იქიდან. მათ დასისხლიანებული კაცი მოსდევდა დამკლავებული.

— მე ვარ გამხდარი?.. აბა ახლა მე და შენ ვსინჯოთ.— შეჰღრიალა მან დარაჯებს უკან მიმალულს მიკიტანს და საყელოში სწვდა. ჯერ დააბურთავა, შემდეგ შეაჩერა, მერე გაუდგა განზე და ისრე მძლავრად სცხო წიხლი მუცელში, რომ საცოდავი მსხვერპლი გულშემოყრილი მიწაზე გაგორდა.

— ვაიმე!.. მუცელი. მუცელი!.. მიშველეთ!.. — წამოიკნავლა ოდნავ სიკვდილის პირას მიმდგარმა და რის ვაი-ვაგლახით სამიკიტნოში შეაგორეს ის.

— აი მამა ვაცხონე მისი, ვინცხამ შენ მოგთელა. აა რავა გეგონა? ყველა მოჯამაგირე ხომ არ გგონია?..— ჩაელაპარაკა ღიმილით იმ სამიკიტნოს ერთმა უკმაყოფილო მოჯამაგირეთაგანმა და „ხაზეინის“ გასვრილს ქუდს წმენდა დაუწყო.

დასისხლიანებული მეომარი არა სცხრებოდა.

— ჰა, მაშ მე გამხდარი ვარ?.. არ გამოვდგები სამსახურში?.. ეი, შენ ლიპიანო, აბა აქეთ მობრძანდი.- უყვირა მა ქუჩაში თავისთვის მიმავალ მემანქანეს, რომელიც ყოველის უარის უთქმელად და უშიშრად მიუახლოვდა დასისხლიანებულს.

— ვაიმე! . გაისმა ხალხში ჩოჩქოლი — დაილუპა უბედური..

— ტყლააშშშ!..—გაისმა ჰაერში და მემანქანეს წუჰპეში მოხვდა ქყაპვანი.

— ახლა წადი და მოახსენე შენს უფროსებს და ექიმს, რომ გამხდარმა ვანო კუნძიაშვილმა მითავაზა თავისი გამხდარი ხელებით ეს სილათქო. მიაძახა მემანქანეს და ვიღაცას კიდევ დაუპირა გალახვა, მაგრამ ამ დროს დარაჯებმაც მოუსწრეს და გააფთრებული ვანო თოკით მაგრა შეჰკოჭეს.

— გამიშვით!.. გამიშვით ერთი კიდევ.— ღრიალებდა დორბლ მორეული მეომარი და გახარებული ბრბოსაკენ იწევდა.

— უუუ!... უუუ! .—უკიოდა ბრბო და და დამორჩილებულს ვანოს, ბუზსავით გარს ეხვეოდა.

როდესაც ძალაზე ნაბეგვი ვანო ნაობახტიდან გამოუშვეს, ხმა ამოუღებლივ სასოფლო გზაზე გავარდა, ერთხელ შეჩერდა, მოიხედ-მოიხედა და შემდეგ კი შურდულსავით ქვევით დაეშვა.

— —

ამ შემთხვევის შემდეგ, აღარავის უნახავს ვანო ბაზარში გავლილი. მუდამ ჩაფიქრებული და დარცხვენილი ოჯახში ფუსფუსებს და შეშლილსავით სულ ამას ბუტბუტებს. ჰმ! გამხდარი ვარ!.. მერე რა ვუყოთ, რომ გამხდარი ვარ?..

მეზობლები ხომ შეშლილად სთვლიან ვანოს, სათოფეზე არ ეკარებიან და მისი ერთი დანახვა — შიშის ქარს იწვევს თვითეულ მათგანში

**ნიკო სიხარულიძე**

# სახალხო თეატრის ისტორია

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 16)



**მარიამ დემურია**

1896 წელს ხელმძღვანელად დაუბრუნდით ავჭალის აუდიტორიას, ნებართვა ითხოვ ქუთათელაძემ აიღო. ქართველ ხელოსანთა ამხანაგობის ნაცვლად — ქართული თეატრალური სექცია დაერქვა. შესდგა ინტელიგენტური სექცია, რომელშიაც ირიცხებოდნენ მარიამ დემურია, გიორგი ლასხიშვილი და იოსებ ქუთათელაძე ძველი სცენის მოყვარეთა გარდა სხვა ახალები შეიკრიბნენ და მზათ გამართულ სცენაზე სექციამ დაიწყო მოქმედება. თუმცა ხელოსანთა ამხანაგობას არ მოეწონა მთელი უფლების ასეთი ჩამორთმევა, რადგან არც ერთს არ ეღირსა თავის დაწყებულ საქმის სექციის წევრობა, მაგრამ საქმის სიყვარული იმდენად იყო გამჯდარი

თვითეულის გულში, რომ ენერგიულად ასრულებდა სექციის დავალებას და საქმეს არც ერთი ზემოდ დასახელებული მუშა არ ჩამოშორებია, თავდაპირველად ძალიან ბევრი მოაწყდა, როგორც სექციის წევრობის მოსურნე, ისე სცენის მოყვარე მაგრამ სახალხო თეატრის საქმე არც ისე ადვილი იყო მაშინ, როგორც იმათ შორიდან ეგონათ. სახალხო თეატრის საქმე თხოულობდა სირბილს, დაღალვას, ტალახში სიარულს, ერთის სიტყვით შავს საქმეს, და რადგანაც ზოგიერთა სუსტი ნერვებიანი ვერა სძლებდა, ისევე მალე ანებებდა თავს. სექცია იძულებული იყო სხვა ახალი წევრი ან სცენის მოყვარე მოეწვია, ახლა ამ სხვის წასვლის მერე კიდევ სხვა და სულ ნაირ-ნაირი ხალხით იყო სექცია აჭრელებული. ზოგი ერთ თვეს რჩებოდა, ზოგი ორ კვირას, ზოგი ორ თვედა ასე თითქოს ერთმა მეორე გამოცვალაო, ისე იცვლებოდნენ სექციის წევრები და სცენის მოყვარენი. მაგრამ მიუხედავად ამისა, წარმოდგენების მართვა სახალხო თეატრში მაინც არ შეწყვეტილა იმ სექციის წევრების და სცენის მოყვარეთა წყალობით, რომლებიც ერთს ან ორს წელიწადს მაინც რჩებოდენ სექციის წევრად ან სცენის მოყვარედ.

გიორგი ჯაბაური

# ქართული სახიობა

**სალიტერატურო-მუსიკალურ-იუმორისტიულმა დილამ** სახ. სახლში, 10 მაისს ბლომა საზოგადოება მიიზიდა, მაგრამ საზოგადოების მოლოდინი-კი სავსებით ვერ გამართლდა. დილა დაიწყო **ჩვეულებრივ** გამოცხადებულ დროზე გვიან (45 წუთით). დილაში მონაწილეობა არ მიიღეს არც გ. ქუჩიშვილმა (ამ დღეს ბაქოში იყო), არც თაგუნამ.— მის მაგიერ ბ—მა წუწუნავამ ხაფანგით დაჭერილი თაგვი წარმოუდგინა საზოგადოებას, ხოლო ვინაიდან თაგვს თაგუნას მაგიერ არ შეეძლო ლექციის ანუ ლექსების წაკითხვა, თვით წუწუნავამ წაიკითხა ლექციის პაროდია... ბ. აბაშელმა და ბ. ახოსპირელმა თავისი საუცხოვო ლექსებით დიდი აღფრთოვანება გამოიწვიეს საზოგადოებაში. დროის შესაფერი იყო სევდიანის მიერ წაკითხული საკუთარი ლექსიც „აკაკისებურ“. იმღერეს მ. კავსაძის გუნდმა, ღვინიაშვილმა, სარაჯიშვილმა და რომანიშვილმა, მაგრამ გამარჯვება სარაჯიშვილს ერგო: მის გამოწვევას საზღვარი აღარ უჩნდა, ბარე შვიდჯერ ამღერეს. მ. კავსაძის გუნდი გუნებაზე არ იყო, თვით მ. კავსაძეც თითქო იმას ელოდა—-ტაში დამიკრანო.

ეს ჩვეულება რო მოიშალოს, უჯობს. მ. კავსაძე ისედაც მადლობას იმსახურებს ხალხური სიმღერების გავრცელებით,—და რა საჭიროა თეატრალობა! საზოგადოებამ რამდენჯერმე ამღერა, და სჩანდა, მოსწონდა. მ. კავსაძეს და ი სარაჯიშვილს ვარდებიც ესროლეს სახალხო თეატრის მრევლზე სათანადო შთაბეჭდილება ვერ მოახდინა ბალერინა ლეონოვის ცეკვამ. ბევრმა მანდილოსანმა მიატოვა დარბაზი, ზოგმა თავიც დაღუნა, როდესაც სცენაზე თითქმის დედიშობილა მოცეკვავე გამოჩნდა. ეტყობა, ქ—ნ ლეონოვს ცეკვის ხელოვნება შესწავლილი აქვს, თავისუფლადაც ცეკვავს, მაგრამ ხსენებულ აუდიტორიისთვის შესაფერი ვერ იყო: დიდი სიფრთხილე ჰმართებს ტრიკო-გაზით მოცეკვავეს, რომ უხეში მიმოხვრით უწმაწური გრძნობა არ აღძრას.—ამ დილაზე პროგრამის გარეშე იმღერა ახალგაზრდა მომღერალმა ლექავამ, რომელმაც საზოგადოების თხოვნით მეორედაც იმღერა. ახალგაზრდა მომღერალს ძლიერი ხმა **ი-ელი**

**ვალერიან გუნიას დილა-მეჯლისი** სახ. სახლში 11 მაისს ვერ იყო ისეთი, როგორც მის გამმართველის—ვ. გუნიას სახელს შეეფერებოდა. თითქო აჩქარებულაო, ხელად მოფიშფიშებული აღმოჩნდა. ზოგიერთი მონაწილენი არ გამოცხადდენ (მართალია პატივცემულმა მსახიობმა მოიბოდიშა, მაგრამ ამითი საქმეს არა ჰშველებია—რა). შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ალექ. ახმეტელმა „ქართულ ეროვნულ თეატრზე“. ლექტორმა გაგვიზიარა თავისი დაკვირვება, შთაბეჭდილება და მოსაზრებანი—როგორია ჩვენი თეატრი, როგორი უნდა იყოს ნამდვილი ქართული ეროვნული თეატრი და რა პირობებში შეიძლება ესაო. საზანდარი რომ არ ემღერებინათ—სჯობდა. ივანიძემ წაიკითხა აკაკის ორი ლექსი, დაროშვილმა გრიშაშვილის ლექსები გრიშაშვილისებურად და დიდათაც ასიამოვნა დამსწრენი თავისი გასაოცარი მიმბაძველობით. რ. ბეჭიაშვილმა—მერეჟკოვსკის „ბუდა“, ფრანგიშვილმა, ქნარმა და სევდიანმა—საკუთარი ლექსები. დამსწრეთ მოეწონათ შ. საფაროვის—მოქალაქეთა, გ. იორდანიშვილის—კინტოური ხ. ჯიბლაძის—გურული სცენები, სალირაშვილს—თარზე დაკვრა, პ. ფრანგიშვილის—„ურმული“ (გაამეორებინეს კიდეც) და პ. ლექავას (ტრიო) სიმღერა—კუპლეტები—„ხელი მისკენ მიცოცავს“. ამ დილის ზვირგვინი იყო ელ. ციმაკურიძისა და ლ ფალავანდიშვილის საუცხოვო ცეკვა და ლეკური."

ასეთი უშინაარსო "დილების„ გამართვაზე რომ ხელს აიღებდენ - სჯობს

საზოგადოება ნაკლებად დაესწრო, თითქო უკვე მოსწყინდა ეგოდენი უშინაარსო გასართობნიო. **წ—რი**

**ქართ. მსახ. ამხანაგობამ** მ. ქორელის რეჟისორობით სახ. სახლში 13 მაისს „ოტელო“-ს

წარმოდგენით ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რა შეუძლიან მუყაით მეცადინეობას. ამისი მაგალითი იყო ალ. იმედაშვილი, რომელმაც ოტელოს საუცხოვო ხატება შეჰქმნა (ბევრ მცოდნე—მოთეატრეთა აზრით, ქართულ სცენაზე დღემდე არ ნახული) მსახიობს ამ მსოფლიო ხატების თითოეული მიმოხვრა, სულის ყოველნაირი განცდა დიდის დაკვირვებით შეუსწავლი: სიტყვა მისი—მოქმედებას ეთანხმებოდა, მოქმედება —გულისთქმას... არც ერთი ბგერა მსახიობისა უაზროდ არ იყო გამოცემული, არც ერთი ნაქვთი—უმიზნოდ შეთამაშებული. პირველ ორ სურათში თითქო მოიუფერულებდა, მეორე მოქმედებაში ხელოვნების უმაღლეს ხარისხს მიაღწია, რითაც უზომო აღტაცება გამოიწვია საზოგადოებისა (თაიგულებით და ვარდებით დაჰდაფნეს), ხოლო ბოლო სურათში ვერ იყო ისეთი, როგორც მისგანვე განსახიერებულ ხასიათს შეეფერებოდა. იმედია მსახიობი კიდევ უფრო სრულ ჰყოფს ამ როლის აღსრულებას, და როგორც თავისი, აგრეთვე ქართული სცენის კლასიკური რეპერტუარის გვირგვინად გარდაჰქმნის. გრიმი და ჩაცმა-დახურვა მსახიობს თავისებური ჰქონდა, ზოგიერთ მიზანსცენაც საკუთარი. მისი მხარის დამამშვენებელი იყო მუდამ ღვთიური ნუცა ჩხეიძე. პ. კორიშელის იაგომ ვერ დაგვაკმაყოფილა: სავსებით ვერ განეცადნა (შეგნებით კი—შეეგნო) იაგოს სულის კვეთება. შიგა და შიგ ცუდლუტ სკაპენს უფრო მოგვაგონებდა. არა უჭირდათ ი. ზარდალიშვილს (კასიო) და ზ. გომელაურს (როდერიგო). ღირსეული ბრაბანციო იყო გ. გედევანოვი, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, როლი რომ უკეთ სცოდნოდა. ან. ქიქოძე—თითქო შეუფერებელ ტანისამოსშია და ეხამუშება. სამწუხაროდ როლებიც-კი არ დაესწავლათ მ. ჭიაურელს, ა. შანშიაშვილს და სხ. ისე ღეჭავდენ სიტყვებს, თითქო შექსპირის სიბრძნის წყაროსა და ივ მაჩაბლის საუკეთესო ქართულ თარგმანს-კი არ ეწაფებიან, არამედ რაიმე უწმაწურებასო...

საზოგადოება და ხალხი აუარებელი დაესწრო. თეატრი კვლად გაივსება ხალხით, მეორედაც რომ წარმოადგინონ და დამსწრენი ნინო ჩხეიძისა და ალ. იმედაშვილის მაღალ ხელოვნური თამამად დასტკბებიან. წარმოდგენა თუმცა გვიან დაიწყეს (სირცხვილი!), მაინც 12 საათზე გათავდა. **უსავანო**

---

# წვრილი ამბები

**კოტე მესხის ხსოვნას** პატივსაცემი წარმოდგენა-დილა, რომლის გამართვაც უმთავრესად ალ. ბოლ. შიხინოვმა ითავა, დღეს, 17 მაისს, გაიმართება „სახ. სახლში“.

**მსახიობქალი ნინო ჩხეიძე**, მ. ქორელი, პ. კორიშელი და ს. ბეჟანიშვილი ამ ზაფხულს თელავს მიემგზავრებიან. წარმოდგენებს გამართვენ ყოველ შაბათობით თელავის საკრებულოში. განზრახულია მიიწვიონ ალ. იმედაშვილი და სხ. რეპერტუარი: ნ. შიუკაშვილის „ციცინათელა და „სიმახინჯე“; ზუდერმანის „მამულ-დედული“; მედეა“, კ. მესხის „ბაგრატ მეოთხე“ და სხ.

**ახალგაზდა მსახიობი ალექსიძე** ეს ერთი თვეა ავადაა და უსახსროდ არის. ამხანაგ-მსახიობებმა ფული შეუგროვეს. წამლებს უფასოდ აძლევს აფთექარი ალ. ბოლ. შიხინოვი.

**ალ. ბალ. შიხინოვმა** კოტე მესხის ხსოვნის პატივსაცემლად 15 მან. გადასცა აჭარლების სასარგებლოდ ქართველ ქალთა საზოგადოებას საჩაიეს ხარჯად.

**სოფ. მგალობლიშვილის თხზულებანის** გამოცემა შემოდგომიდან დაიწყება. მთელი თხზულებანი გამოვა 3 – 4 დიდ ტომად: 1, მოთხრობანი, 2, მოგონებანი, 3, წერილები და სხ.

**კომპოზიტორი ქ. ფოცხვერაშვილი** გასულ კვირას თბილისს დაბრუნდა იგი აპირებს, ამ მოკლე ხანში გამართოს ქართული ცალფა (სოლო) ხელოვნური სიმღერების (რომანსები, დუეტები, ტრიოების) საღამო. საღამოზე ასრულებულ იქნება ყველა საუცხოო რომანსი, რაც დღემდე დაწერილი ქართველის ანუ უცხო მუსიკოსებისაგან. ამავე საღამოზე გრ. რობაქიძე წაიკითხავს ლექციას: „მუსიკის ფილოსოფია“, ხოლო თვით ქ. ფოცხვერაშვილი ისტორიულ მიმოხილვას „ქართული სამუსიკო შემოქმედება“.

**ახალგაზდა მომღერალი** გ. ი. ჩუბინაშვილი, გერმანიის საზღვარზე ბრძოლის ველზე დაჭრილი და ვარშავაში მარცხენა ფეხ მოკვეთილი (ბარძაყში გადასჭრეს), უკვე თბილისს დაბრუნდა. (შვილია სახ. სახლის გამგის ილ. ჩუბინაშვილისა, რომელსაც ამას წინად მოსჭრეს ფეხი). მოსკოვის ქართველთა საზოგადოებას მისთვის ხელოვნურად გაკეთებული ფეხი გამოუგზავნია მომღერალი ჯერჯერობით თავს სუსტად გრძნობს და მოჯობინდება თუ არა, მონაწილეობას მიიღებს კონცერტები.

**ნაძალადევის თეატრის** სცენის მოყვარეთა წლიური კრება გასულ კვირას ვერ შესდგა საკმაო წევრთა დაუსწრებლობისა გამო. კრების გამართვა 31 მაისისთვისაა განზრახული.

**მსახიობქალი ნ. დავითაშვილი** საზაფხულოდ თელავს გაემგზავრა.

**კომპ. დ. არაყიშვილი** ამ ზაფხულს დასასვენებლად მოსკოვიდან რუსთა სოფელს ვასილიევსკს წავიდა. კომპოზიტორს განუზრახავს, იმუშაოს კიდეც, თუ ხელი არაფერმა შეუშალა.

**ქართ. კულტ. მოყვ. საზ—ის** თაოსნობით ამ მოკლე ხანში პ. კიზირია წაიკითხავს ფრიად საყურადღებო მოხსენებას—„ქართული კანონმდებლობა.“

Дозволено Военной Цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

# მიიღება ხელის მოწერა.

ამა 1915 წ. ენკენისთვიდან გამოვა სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო ყოველთვიური ჟურნალი

# „ახალი მოამბე“

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, დემოკრატიულ-პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში უმახლობელეს მონაწილეობას მიიღებს ივანე სპ. ელიაშვილი, თანამშრომლებად მოწვეულნი არიან ჩვენი ცნობილნი მწერალნი

ჟურნალში დასაბეჭდად მოწონებულ ნაწარმოებთა ავტორებს მიეცემათ შესაფერი ჰონორარი.

პირველი ნომერი გამოვა ენკენისთვის 20—25—დე, ზომი 15—20 ფორმამდე

**რედაქციის ბინა:** თბილისი. ყაზბეგის ქუჩის შესახვევი № 4. ფოსტით: Тифлисъ, ред. груз. жур „Ахали Моамбэ“.

**ფასი:** წლიურად 10 მ., ნახევარი წლით—6 მ., ხოლო ამა წლის ენკენისთვიდან ქრისტეშობისთვის გასვლამდე—4 მან. ფული უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, редакція груз. жур. „Ахали Моамбэ“ Ивану Спир Элiашвили.

რედაქტორ-გამომცემელი **ნინო ბეჟ. უიფიანისა**

---

**მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.**

**ყოველ-დღიური სალიტ. და საპოლიტიკო გაზეთი**

# „სახალხო ფურცელი“

(კვირაობით) **სურათებიანი დამატებით** (კვირაობით)

გამოვა იმავე პროგრამით, როგორც 1914 წ.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. 3 თვით 2 მ. 25 კ. ერთი თვით 75 კ. ცალკე № შაურად, დამატებიანი 7 კ.

საზღვარ-გარედ თვეში ზედმეტი 50 კ. ◆ ადრესის გამოსაცვლელი ფასი: თბილისსა თბილისს გარედ, ან თბილისის გარეთისა ისევ თბილისის გარეთისაზე 40 კ. დანარჩენ შემთხვევებში უფასოა.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით:

ხელისმოწერისთანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდ. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

**ხელის მოწერა მიიღება:** „სახალხო ფურცელის“ კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი. (შესავ. ეზოდან), 2) ქ. შ. წ.-კ. საზ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში, 3) ქუთაისში გიგლა მებუკესთან.

ფოსტით: Тифл., газ. „Сахалхо Пурцели“, почт. ящ. № 190.

---

**ქ. თბილისში გამოდის ყოველკვირეული იუმორისტული გამოცემა**

# ეშმაკის მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეშმაკი** და **თაგუნა**, ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია

**თანამშრომლები:** ალბურიონი, ბლიკვაძე, ეშვი, ეშმაკი, თაგუნა, კენტი, კვინწარი, კოდო, მორიელი, ნაფუკოდონოსორი, ონისიმე, პიტ'ა, ფონ-ტეფო, შ. ქიქოძე, შმერლინგი, ჭიაურელი, ხუმარა და სხვ.

ჟურნალის ფასი—1 წლით 5 მ., 6 თვით 3 მან. 3 თვით 1 მ. 50 კაპ.

„ეშმ. მათრახში“ დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინარსის წერილები: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები. შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხ. ჟურ. დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს მასალები გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифлиссъ С.П. Таварткиладзе. Баронская 15, почт. ящ. № 190 (ეშმაკისე მათრახისთვის

| წელიწადი მესამე | მიიღება ხელმოწერა 1915 წ. ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ | წლიურად 5 მ. ნახევარი წლით 3 მან. |
|---|---|---|

# „თეატრი და ცხოვრება“-ზე

იუმორისტულ განყოფილებით და შარჟებით

**„თეატრი და ცხოვრება“ ყოველგვარ ჯგუფრ-დასურ მიმართულების გარეშე** ჟურნალი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს სცენის, სიტყვა-კაზმულ მწერლობის, მუსიკის, ქანდაკების, სამხატვრო-სახელოვნო და საზოგადოებრივ მოვლენათა გარკვევას. **ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა.**

**ფ ა ს ი:** წლით **5** მან., ნახევარი წლით **3** მან., თითო ნომერი **10** კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს **2** მ., მარტის გასვლამდე **2** მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

**ხელმოწერა მიიღება:** რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა **„განთიად“**-ში, **„ცოდნას“** წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—**ალ. ძაძამიასთან, ქუთაისში** თ. მთავრიშვილის წიგნთ სავაჭროში **ს. ეპიტაშვილთან**

**მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი:** 1 გვ. ორიგებით, 2, გვ. კორპუსის პწკარი ერთ სვეტზე 25 კ. 3-ზე—20 კ., 4-ზე—15 კ. ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ **Іосифу Имедашвили**

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**




## ნომრები „ავრორა“

**ახლად შეკეთებული, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით** ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სამზეარეულო, ცხელი და ცივი წყლით საბანოებით (დუში და ვანნა).

თბილისი, მიხეილის პროსპ. № 5.

ტელეф. 13—14 (წ)

# РУССКАЯ ИЛЛЮСТРАЦІЯ

Еженедѣльный иллюстрированный журналъ

Изданіе **Т-ва И. Н. Кушнеревъ и К°**, **Москва**

**Подписная цѣна:** на годъ 6 руб. на полгода 3 р. 50 коп на 3 мѣсяца 1 р. 80 к, на 1 мѣс. 65 к. **Подписной годъ считается съ 1 февраля**

**Подписка принимается:** въ МОСКВѢ: Пименовская, 16 и Николаевская 8; въ ПЕТРОГРАДѢ: Фонтанка, 117; въ КІЕВѢ: Караваевская, 5.

**Редакція** и **контора: Москва**, Пименовская, 16, телеф. 3-71-63.



Типографія „Сорапань“ სტამბა „სორაპანი“